# ნაციონალისტი

ხუთშაბათი ოქტომბრის 28 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო. № 24 ფასი 10 მან.

**მისამართი:**
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის 1 № 17. ტელეფონი № 22

**ხელის მოწერა:**
წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

**განცხადებანი**
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე — 20 მან. მ-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.



## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული)

ხუთშაბათს, ოქტომბრის 28-ს

დავით კლდიაშვილის პიესები:

„დარისპანის გასაჭირი“

და

„ირინეს ბედნიერება“

ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით და მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

### არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, 14 ნოემბერს დილის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ერევნის სამხ. ქუჩა № 11).

**განსახილველი საგნები:**

1. თბილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა კავშირის თხოვნა,
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა სამაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს 6 ნახევ. საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.


## ჩვენი პარტიისათვის

პირველ კონფერენციის მერე საგრძნობი გახდა ძალა ნაციონალისტთა პარტიის. იშვიათია ის სიმტკიცე, რომელიც ახასიათებდა კონფერენციის სხდომებს.

კონფერენციას დაესწრნენ წარმომადგენლები სრულიად საქართველოს ყველა მთელი კუთხეების, რომელთა ხმა იყო ერთი: შემოყრა ჩვენი პარტიის გარშემო.

ჩვენს პარტიას ჯერ მხოლოდ ორი წლის მატიანე აქვს. ორი წელიწადი უსათუოდ მცირე დროა პოლიტიკური პარტიის ზრდის და ჩამოყალიბებისათვის. ამ ორ წელიწადს კი მან მრავალი დაბრკოლება განიცადა. მას ჯერ კიდევ მოუმაგრებელს უსწრო დამფუძნებელ კრების არჩევნებმა, მაგრამ ჩვენი პარტიის სიმტკიცემ გასწყვიტა რუბიკონი და დამფუძნებელ კრებაში ორი დეპუტატი უკვე გაიყვანა.

კონფერენციაზე დამსწრე გლეხობა ადასტურებდა, რომ ჩვენთან იქნება საქართველოს მაგარი ძარღვი — სოფელი განთავისუფლებული მმართველი პარტიისაგან.

ჩვენთან იქნებიან კიდევ ისინი, რომელთა გული გახურებულია ერთობილი და განუყოფელი საქართველოს იდეის ცეცხლით და რომელთათვის სალვთოა ანდერძები გადასულ ქართველობის, რომელიც იყო უკიდურესი მშვიდობისმყოფელი და ჯვაროსანი სამშობლო ტერიტორიის დაცვაში.

დღეს, ჩვენში არსებული ძველი პარტიები, საქმით მოშლილნი; ყველა ესენი უიმედო გასათხოვარ ქალებს ჰგვანან, ერთმანეთში რა ბრაზებით ჰყრილობენ ჯავრს. თითეულ მათგანს აქვს ოცი და ოცდაათი წლების უსიცოცხლო ისტორია მაგრამ ქართველ ერს დღემდის ვერ უგრძნია მათი ძალის სიმაგრე და სიცოცხლე.

ზოგმა მათგანმა კიდეც მოატყუა ქართველი ერი. ზოგი სრულიადაც უცხოა საქართველოსთვის და ზოგიც საქართველოს ანადგურებს.

ასეთ გარემოებაში ჩვენი პარტია მოდის როგორც ახალი ჯვაროსანი საქართველოსთვის; მან უნდა გამოსჭრას გზები ქაოსში და ანარქიაში და აღმართოს უწმინდესი ნაციონალი დროშა.

მრისხანე საუკუნეების ცემით ცეცხლი უნდა ჩაუნთოს სოფელს, რომელსაც ახრჩობს კაპიტალის სპეკულიაცია ქართული ხმლის სიმართლით შემოჰკავლოს საქართველოს სახელმწიფოს სრული და წაანდერძევი საზღვრები ხოლო ქართულ კულტურას ახალი ბრწყინვალება მისცეს.

იგი მოიტანს ახალ გამოქვეყნილ საქართველოს და ამ ბარაქიანი იდეალებისათვის ნელი-ნელ ვხსნით მის დროშას...

გ. ლეონიძე.

## პრესსა.

### მევენახეთა საბჭოზე.

ჟურნალ „ვაზი და ღვინოს“ 39 ნომერში მოთავსებულია შემდეგი მეთაური ბ-ნ **სოლ. ჩოლოყაშვილისა** შესახებ მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობების წესების.

„ასეთი ორგანიზაციის შექმნა გამოიწვია, ცხოვრებამ; ყოველივე ეჭვს გარეშე და უდავოა ის დებულება, რომ ცხოველ და დიდ საქმეს გასაძღოლად, თვით საქმის პირისუფალნი უნდა ედგნენ სათავეში და ლელო თვით გაიტანონ.

არც ერთი წამი დასავიწყარი არ არის, რომ დღევანდელი ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა დიდ კრიზისს უახლოვდება და დრო სათანადო ადგილი არ აქვს, შეიძლება მდგომარეობა შეიქმნეს აუტანელი.

ზეზეურათაც რომ გადავთვალისწინოთ აწინდელი მდგომარეობა ამ ქვეყნის დიდ მნიშვნელოვან დარგისა, დავინახავთ რომ ჩვენი ღვინოები დაგუბებულია, რადგან მათი დღევანდელი ღირსება ვერ აკმაყოფილებს გარეშე ბაზარს და, თუ სხვა წესით დამუშავებას და ნაწარმოების გაუმჯობესებას არ მივყავით ხელი, არც მოსალოდნელია, რომ უცხოეთ გარეშე ბაზარი მოვიპოვოთ. ასეთი მდგომარეობა არამც თუ დასცემს ამ დარგს, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებას მეტ ხარჯათ მოევლინება, რადგან წლიურად საზღვარგარეთიდან მარტო შამპან-გოგირდის შემოტანა რამდენიმე ათეულ მილიონისაა საჭირო და ამის ღირებულების ღვინოც რომ არ გავიტანოთ საზღვარ-გარეთ, ამ მასალების ღირებულება სახელმწიფო სალაროს აუნაზღაურებელ ზარალათ უნდა დააწვეს.

დღევანდელი კახეთის ჩინებული ვენახები, რომელიც ხურმუტის ფრათ აბიბინებული ალაზნის ველის ბექობებზე გადაჭიმულან და ზღაპრულ წალკოტს მოგაგონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უვაზო ქვეყანად იქცევა, ამდენად ბევრ ალაგას არის აღმოჩენილი ფილოქსერა; ერთ-ერთი საშუალება კი, ამერიკულ ვაზზე მათი გადაშენება არსად სწარმოებს — რევოლიუციის ქარიშხალმა ჩანთქა და გაანადგურა ჩვენი ქვეყნის ამერიკული ვაზის სანერგეები და დღეს არც კი მოგვეპოვება საშუალება სადმე ვიშოვოთ გინდ მესხედი ნაწილი იმ ვაზისა, რაც გვჭირდება; საჭიროა ამერიკული ვაზის სანერგეების აღდგენა და გაფართოვება.

ვენახების მოსაწამლი მასალები და იარაღები ევროპიდან მოგვდის; ვიდრე ვაზის მუშას მიაღწევს, ათიოდე ხელში გადადის და ადგილობრივ მამასისხლის ფასად იყიდება, რის შედეგია სწვრჯერ ვენახების ან სრულიად ან ნაკლებ მოწამვლა და ამის გამო მოსავლის დაღუპვა..

ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა ამ დარგის შესწავლა გამოკვლევა მეცნიერული თვალსაზრისით და ამის მიხედვით მევენახეთა წრეებში შეტანა ამათი იმ ცვლილებისა.

კანონმდებლობა, რომელიც ვაზს და ღვინოს ეხება, დადასტურებული უნდა იყოს თვით ამ დარგის მომუშავეთაგან და ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეღობებოდეს ამ დარგის გაფართოება გაუმჯობესებას.

ჩვენ წვრილ მევენახეთ არ ძალუძთ შეჰქმნან მიწყობილი სარდაფები ღვინის დაყენების და შენობების გასაუმჯობესებლად; ამისთვის საჭიროა ძლიერი კოოპერატიული ამხანაგობათა მოწყობა და ხელმძღვანელობა.

ეს ყველა ამაზედ და ბევრ სხვა მევენახეთა და მეღვინეთა აუცილებელ საჭიროებაზედ მოუხდება ზრუნვა იმ ორგანოს, რომლის წესდების პროექტიც ჩვენ დღევანდელ ორგანოში იბეჭდება.

საბჭო დაიმედებულია, რომ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი სავსებით გაუწევენ ანგარიშს ამ თვით ცხოვრებისაგან გამოწვეულ დაწესებულების შექმნას, რომელიც იზრუნავს მევენახეობა-მეღვინეობის წარმოების მოგვარებისა და

# მუშათა მაგიდისაგან

მუშათა მაგიდა აცხადებს იმ პირთა სიას, რომლებიც მომარაგების ფონდიდან პურსა და სხვა სურსათს არ ადგილიდან ეძებულობენ: 1. მართა ალექსანდრეს ასული ბორიცკაია, 2. ელისაბ. კონსტანტინეს ასული ჟუკოვა, 3. ელენე პეტრეს ასული ჭალიავანდიშვილი 4. კატე გიორგის ძე ფოცხვერაშვილი, მარიამ ალექსის ასული უონგორცი, 6. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, 7. მარიამ კოსტ. ასული ფარისაშვილი, 8. იულია ნიკოლოზის ასული თავლინიშვილი 9 იოსებ ალექსანდრეს ძველაძე, 10 კონსტანტინე გაბრიელის ძე უშაკოვი 11 მაქსიმეს-ძე. ვალერიან კონსტანტინეს ძე ხარჩალოვი, 13. არტემ ხარბელის-ძე ასატუროვი, 14. ალექსანდრე იაკობის-ძე შარტინენკო. 15. შალვა მიქელაძე, 16. ივანე მალაქიას-ძე მუსერიძე, 17. მარიამ ალექსის ასული მრევლიშვილი, 18. ბარბალე სტეფანეს ასული მხითაროვი, ეს პირები გარდა იმისა რომ სურსათს დაკარგავენ მიეცემულნი იქნებიან პასუხის გებაში.

---

განვითარებაზე; და შემოდგომაზედ, როდესაც დამფუძნებელ კრებას მოხსენდება დასამტკიცებლათ წესდება სრულიად საქართველოს მელვინე და მევენახეთა ყრილობისა, იგი ერთხმათ მიღებული იქნება. დასავლეთ ევროპაშიაც, საფრანგეთშიც და გერმანიაში, თით დღესდღეობით მევენახეობა-მეღვინეობამ უმაღლეს განვითარების საფეხურს მიაღწია, მხოლოდ თვით ამ დარგში მომუშავეთა შეკავშირებით და საკუთარი ძალღონით საქმის მოვარებით მოახერხა".

---

## უკანასკნელი ცნობები

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ ინგლისის მიმართულებით ოსმალებთან ბრძოლამ იმდენად სასტიკი ხასიათი მიიღო, რომ ზარბაზნების კანონადა ერევანში ისმის.

ბათუმში ტრაპიზონიდან მიღებულია ცნობა, რომ მუსტაფა ქემალ ფაშას ელიან არზრუმში სომხეთის ასპარეზზე ოპერაციების სახელმძღვანელოდ.

ბათუმში ინგლისელების მიერ დაკავებულ იტალიის გემს „ანკონას" ბათუმში სცლიან.

# უცხოეთის დეპეშები

### ელზას-ლოთარინგი

ბერლინი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" იუწყება რომ ელზას ლოთარინგი რაც რომ საფრანგეთის ხელში გადავიდა 130.000 მცხოვრებმა. დასტოვაო. აქედან 50 ათასი მცხოვრები გერმანიაში დაესახლა და 20 ათასი დასასახლებლად გერმანიის მთავრობა შესაფერ ადგილს ეძებს.

### რუმინეთი და უნგრეთი

იმათი გაზეთის ცნობით რუმინეთი ცდილობს უნგრეთთან დაახლოვებას. ბუქარესტში სლავიანთა სახელმწიფოებთან კავშირში რუსეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საკმაოდ არ მიაჩნიათ. რუმინეთსა და უნგრეთს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მოლაპარაკებას ტრანსილვანიის საკითხი აფერხებს. უნგრეთი ტრანსილვანიის ავტონომიას თხოულობს, რასაც მას რუმინეთი ეწინააღმდეგება.

### საფრანგეთის რადიო ტელეგრაფი

პარიზი. საფრანგეთის პრესა იუწყება: საფრანგეთმა ენერგიული ზომები მიიღო, რათა მთელ ქვეყნიერებაზე მას საუკეთესო რადიო ტელეგრაფი ქონდა. ბორდოში გაიხსნა ახალი რადიო სადგური ფრანგულ რადიო ტელეგრაფის უწყების მიერ ეს სადგური ყველა არსებულ უმავთულო ტელეგრაფზე უძლიერია, ამ სადგურის ვერცის ტალღები 20,000 კილომეტრზე მიდის. ბორდო უნდა შეიქნეს მთავარი რადიო სადგური ამერიკასთან მოსალაპარაკებლად. ამასთან ერთად საფრანგეთს სურს ასეთივე დიდი სადგურები მოაწყოს ინდო-ჩინეთში, ალჟირში, საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში, კონგოში და მადაგასკარში.

### ვალი თითეულ სახელმწიფოს მოქალაქეზე

პარიზი. გაზ. „ტაიმსის" ცნობით თითეული სახელმწიფოს ვალი მოქალაქეზე შემდეგ ციფრებით გამოიხატება: ინგლისში 4,000 ფრ. საფრანგეთში 5.100 ფრ. იტალიაში 2,000 ფრ. თუ გერმანიის ვალებს მიუმატებთ 150 მილიარდ ფრანკს, რომელიც მან მოკავშირეებს უნდა მისცეს, მაშინ თითეული გერმანელს 5,000 ფრ. დაედება.

### კონსტანტინეპოლ-პარიზის შორის მიმოსვლისათვის

კონსტანტინეპოლი. ბუდაპეშტში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია კონსტანტინეპოლ-პარიზის შორის მატარებლების მიმოსვლის შემცირების საკითხის განსახილველად. კონფერენციაში ყველა დაინტერესებული ქვეყნები მიიღებს მონაწილეობას.

### იტალიის არეულობა

რომი. იტალიის პრესა გამოთქვამს: იტალიაში არეულობის გამოძიებამ დაამტკიცა რომ ეს არეულობა რუსის და უნგრეთის ბოლშევიკების აგენტების მიერ არის მოწყობილი, რომლებიც იტალიაში მოვიდენ საპროპაგანდოთ აუარებელი ფულით. კომისიამ გამოარკვია, ამ აგენტებს შორის დიდს როლს თამაშობდა უნგრეთი ტოკვრაფი.

### სომხეთის ასპარეზზე.

საქ. არ-ებულ სომხეთის და პლ. მისიის ცნობა. სომხეთის ჯარების მთავარ სარდლობის ცნობა: ოქტ. 23 თანახმად ეხლანდელ მიღებული ცნობისა ყარსის რაზმის ერთი ნაწილი შეტევაზე გადავიდა და ბრძოლით ტურქმანაშენის რაიონი დაიჭირა მტერმა სამხრეთისაკენ დაიხია.

22 ოქტ. პერდენეკის მიმართულება. ჩვენ სოფელ ტიკოშის სიმაღლით დაიჭირეთ. სურმალუნის მიმართულება: ოქტ. 22 სურმალინის რაზმმა მთიელზე იერიშები მიიტანა მტერი უკუ აგდო. ბრძოლა გრძელდება. სარაყამის მიმართულებით წმიდა ილიას (ზიარესტი) მთის რაიონში და აჯი-ხალიმთის სამხრეთით მზვერავები მოქმედებენ. ოქტ. 24 სურმალინის მიმართულებით განთენებისას ოსმალებმა და ქურთებმა დიდის ძალებით ხაზის მიმართულებით სოფ. კიულიუკსა და ზემო გარიხნის სოლთანა ბად აგოიო და მთა და გურუნსა, და საზ. კარაკოიუნელუა და სოფ. კლიუს მიმართულებით მტერმა თითქმის შესძლო სოფ. კარაკოინლუს კიუსიმო-ჯორობის

---

# სული და მატერია

ფსიქომატერიალიზმი და ორგანოტროპიზმი.

საბერძნეთის ფილოსოფოსები ფიქრობდენ, რომ სული იყო ორნაირი. ერთი იყო — anima, მეორე — spiritus პირველი გვარის სული იგივეა, რაც იდეა: მას არა აქვს ნივთიერი არსებობა, ის არის უსხეულო, მოკლებული განფენილობას, ნასვრეტობას და სხვა მატერიალურ თვისებებს. მეორე გვარის სული — ჰაერის მსგავსი ორგანიული ნივთიერებაა, რომელიც მიმოფანტულია ჰაერში — სივრცეში, — აქიდან შედის ადამიანის სისხლში, ნერვიულ სისტემაში და აცხოველებს მთელს ორგანიზმს. პნევმა — მეორე გვარის სული არის ფსიხის — პირველი გვარის სულის სადგური. ფსიხე არის სამნაირი: ნერგოვნებითი ფსიხიან მცენარეულობითი ფსიხე, მეორე — მგრძნობელობითი ფსიხე, რომელიც დგას უფრო მაღლა, ვიდრე ნერგოვნებითი; მესამე ყველაზე უფრო მაღალი და კეთილშობილი სული იყო — მეტყველებითი სული.

პნევმაც სამგვარი იყო: პირველი ნივთიერების პნევმა; მეორე — ცხოველობის პნევმა — spiritus vifalis. მესამე — spiritus animalic შეადგენდა ზოგადი ხასიათის სულიერობას. პირველგვარი პნევმის ადგილი იყო ღვიძლი მზისეული ქსოვილებით; მეორე გვარი პნევმის ადგილი იყო გული. მესამენაირი პნევმის ადგილი იყო ტვინი ნერვებითურთ. ფილოსოფოსი არისტოტელი თავისებურად სარგებლობდა ამ კლასიფიკაციით: იგი ფიქრობდა, რომ ცხოვრების მასულდგმულებელი ძალა სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა სახისა იყო: არ სტოტელის აზრით სამყაროში არის სულიერობის სხვა და სხვა მდგომარეობა, რადგან სულიერობა შემოქმედებითი მოძრაობაა, სრულყოფისკენ გაშლილი მიმდინარეობაა. სულიერობის აღმავალი მიმდინარეობას არისტოტელი უწოდებს ენტელექიას: მცენარეულობაში არის მცენარეული სული, ცხოველობაში — ცხოველური, ადამიანში კი უმაღლესი წერტილი ენტელექიის, ყველაზე უფრო სრულყოფილი საუნივერსალური სულიერობისა.

ყველგან და ყველაფერში არის ტრფიალება ინტელექიისა: მინერალი, მცენარე, პირუტყვი, ადამიანი — შემოქმედებითი წერტილებია, სადაც ისვენებს ენტელექია, რომლებშიაც ცხადყოფილია სულყოფის სახეები და სახეობანი.

ჰუმანისტები იმეორებდენ არისტოტელის სიტყვებს და ამტკიცებდენ: სული ყველაფერშიაო.

ჰუმანისტების და ანტიური ფილოსოფოსების მსოფლმხედველობაში სული არსებობდა როგორც ერთგვარი თვითმყოფი რამე (სუბსტანცია): სული იყო ძალა, ენერგია, idée — force, — სული იყო ის, რაც ამოძრავებდა ნივთიერებას. თვით ნივთიერება (მატერია) იყო ერთგვარი მასა, რომელსაც არ შეეძლო თავის თავად მოძრაობა, რომლის არსებობა დამოკიდებული იყო სულის არსებობაზე. სული, როგორც ამბობს პლატონი, ერთგვარი დემიურგი, შემომქმედი ცხოვრების საწყისისა და ფორმების. მატერია იყო „დაუსრულებელი" და „გამოურკვეველი", „ტლანქი", „ბნელი" „ბნელი გვარი", რომელიც ჰქმნის „მესამე დასაწყისს წუთისოფლისას", რომელიც აზროვნებისთვის წარმოადგენს არარაობას, რომელსაც არა აქვს სახე, რომელიც „ყოველი მიმღებია", რომელიც არ არის არც მიწა, არც წყალი, ჰაერი, არც ცეცხლი. მატერია არის დემონიური გრძნობა, რომელშიაც იქმნება და რომელიც თვითონ ვერ ქმნის. მატერია საზომია, როგორც შესაძლებლობის განუსაზღვრელი რეალობა — რეალობა ბრმა, მოვლენა ყალბი, რომელიც გვეჩვენებათ დიდათ, მაგრამ თავისთავად პატარაა, რომლის არსებობა არის ეფემერობა, არარაობა, რომლის სახე მუდამ გარბის და მუდამ სტყუის: იგრე ახასიათებს პლატონი მატერიას თავის „თიმეა"-ში. ნეოპლატონისტმა პლოტინმა თავის მეორე „ენეადი"-ს მეოთხე წიგნში და მესამე „ენეადი"-ს მეექვსე წიგნში მოგვცა თავის ქმის უფრო მკაცრი, უფრო ულმობელი დახასიათება მატერიის: მატერია არ არის რთული, იგი მარტივია და ერთეული ტლანქად მიმდინარე. მას სხეული და რაოდენობა არა აქვს; მას არა აქვს ფორმა და ზომა: იგი მხოლოდ ზომის ურცელობას იძლევა. უცხო ძალა ჰქმნის სახეს, ფორმას და რაოდენობას მატერიაში; მატერია არის მხოლოდ „ილუზია განფენილობისა".

პლატონიზმის არა აქვს არავითარი დადებითი თვისება.

არისტოტელის აზრით, თუმცა მატერიის არა აქვს არავითარი დადებითი თვისება, მაგრამ აქვს ნიჭიერება ყოფნისა და არ ყოფნის. მატერია მეტა ფიზიკური ორმაგობაა და უარყოფს აზროვნების ლოგიურობას.

სულ სხვანაირად უყურებენ მატერიას თვით მატერიალისტები:

მატერიალიზმის წარმომადგენლები დემოკრიტე, ეპიკური, ლევკიპე, ლუკრეციუსი კარა მატერიას ხსნიან, როგორც ერთგვარ ყოვლობას ერთგვარ აბსოლიუტობას; მხოლოდ მატერია ნაწილდება, იმუხვება: ნაწილები ერთმანეთს შორდებიან და ისევ ერთდებიან; მოძრაობა ნაწილების არის თვით ცხოვრება. ყოველივე მატერიის ნაწილი ანუ ატომი ლებულობს ნაწილეობას მოძრაობაში. არაფერი წუთი სრულად არ იკარგება;

ხრწნადი საგნების ატომები ერთმანეთს შორდებიან, მაგრამ ხრწნებიან მაინც განაგრძობენ. არსებობენ თუ არა ატომები? — ამის საყურადღებო პასუხს, საკმაოდ დასაბუთებულს ჩვენ ვხედავთ ლუკრეციუს კარის პოემა „De rerum natura"-ში: ატომი ისე პატარაა. რომ ადამიანი მას ვერ ხედავს: გარეგან გრძნობათა ორგანოების საშუალებით ადამიანს არ შეუძლიან შეიცნაუროს და შეიგნოს ატომის არსებობა, მაგრამ, რომ ატომი არსებობს ამას ჩვენ გვიმოწმებენ სხვადასხვა მაგალითები ტანისამოსი რომელიც გადაკიდებულია წყლის პირად, სველდება. როდესაც ტანისამოსი მზეზეა, ატომებს ჰშინიან და გარბიან. ამნაირად სიმშრალე და სისველე ისე როგორც ყველაფერი დამოკიდებულია ატომთა მოძრაობაზე. ბეჭედი რომელსაც ჩვენ რამოდენიმე წლობით ვატარებთ, — წვრილდება: მას შორდებიან ნაწილები, რომელთა დანახვა ჩვენ არ შეგვიძლიან, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ კი ვხედავთ, რომ ნაწილი შემადგენლობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთანამდის და შოურუნის ტოხანშალუ კათარის ტასანში დისლოკაცია, მაგრამ სალაშოს მდგომარეობა სავსებით ალვადგინეთ. მედინიკის მიმართულებით: სოფ. მოლა ჰასანის მხრიდან მტერი შეეცა სო. მუკუნსა და ტიკომსი შემოტევას, მაგრამ უკუვაგდეთ. ოქტ. 25 ს იგოირის და იაიჯირის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება.

ყერსიდან იუწყებიან; ფრონტის მრავალ ნაწილები დიდი თოვლი მოვიდა.

**უნახშირობა პრუსიაში**

ნახშირის უქონლობის გამო პრუსიაში თეატრები უნდა დაიხუროს საღამოს 10 საათზე ბერლინში კი 11 საათზე.

**კარინტის ზონის დაკავება ავსტრიისაგან**

კარინტიაში. ავსტრიის მთავრობამ დაიწყო კარინტიის იმ ზონის დაკავება რომელიც ოქტომბრის 10 პლებისციტის თანახმად ავსტრიის ხელში გადადის სამხრეთ-სლავიის მთავრობის წარმომადგენლების ავსტრიელებით შეცვლა ამ კვირაში დასრულდება, პლებისციტის საერთაშორისო კომისია იმუშავებს ნოემბრის შუა რიცხვებამდის.

**შეტაკება ტრიესტის ქუჩებში**

იტალიაში. ტრიესტის ქუჩებში სოციალისტებსა და პატრიოტებს შორის შეტაკება მოხდა, ჟურნალისტების დაჭრის შემდეგ ბრბომ სოციალ-გაზეთის რედაქცია დასწვა.

**ბულგარეთის ეკლესია**

ბულგარეთი. სოციალისტების წინადადებით ბულგარეთის ყრილობამ ერთხმად მიიღო პროექტი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ.

**მდგომარეობა სირიაში**

სირია. სირიაში საადმინისტრაციო დიპლომატიური და სამხედრო ზომების მიღებამ საფრანგეთის უმაღლეს კომისრის მიერ თავისი კეთილყოფილი გავლენა უკვე მოახდინაო, სწერს „ფიგარო“.

**დასაფლავება საბერძნეთის მეფისა.**

საბერძნეთის მეფეს ალექსანდრეს მომავალ პარასკევს დაასაფლავებენ.

**ინგლისის მემადაროების გაფიცვა**

მემამულეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა დღეს დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება ბრიტანეთის მთავრობასთან.

**ეგვიპტეში.**

ლივანი. არეულობა შეწყდა (დამახინჯებულია) რკინის გზების არსებობა უზრუნველყოფილია. პოლკოვნიკ გუმოს ხელმძღვანელობით ჯარი მოვიდა ალონში. ალებოს და ალექსანდრიკას შორის სავაჭრო დამოკიდებულება განახლდა. დამასკის რაიონში სიწყნარეა.

**პადერევსკის ავადმყოფობა**

„ტანის“ ცნობით ერთა ლიგაში დანიშნულ პოლონეთის დელეგატი ავად გამხდარა.

# დეპეშა

**დუშეთიდან**

მთავრობის თავმჯდომარეს.

ასლი „,ნაციონალისტის“ რედაქციას

საცხოვრებელი ბინა ქალაქის თავმა ჩამოგვართვა, ბარგი ქუჩაზედ გადმოგვიყარეს, ცის ქვეშ, გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას.

**ქეთევან შაბუროვისა**

# ქრონიკა

**გენერალ გუბერნატორის თანამდებობის მოსპობა**

შინაგან საქმეთა სამინისტროში. გენერალ გუბერნატორის თანამდებობის მოსპობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს მთავრობის წარსადგენათ მოხსენებას თბილისის საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმების შესახებ. ამ საკითხის წარმოშობა დასაბუთებულია მით, რომ ცხოვრება თბილისში ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

**ქვანახშირის კონცესია**

იტალიის პოლიტიკურ მისიის საშუალებით ფინანსთა სამინისტრომ რომიდან იტალიის საგარეო მინისტრის სფორცასაგან მიიღო ცნობა იტალიის მიერ ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიაზე ხელის მოწერის შეახებ. იტალიას აზრათ აქვს დაუყოვნებლივ გაგზავნოს საქართველოში მოსამსახურეთა საჭირო შტატი და საწარმოო მანქანები. თუ ზამთარმა არ შეუშალათ ხელი წინასწარი მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყება.

**გურია აჭარის ბანკი**

ფინანსთა სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა გურია აჭარის ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ. ამ ბანკის დაარსება განზრახულია ბათუმში. ძირითადი კაპიტალი იქნება 5 მილიონი მ.

**ფინანსთა სამინისტროში**

ხუთშაბათს ოქტომბრის 28, უიხნიკურ კომიტეტის ტეხნო-ქიმიური განყოფილების სხდომაზე. რომელზედაც განიხილავენ 1, კაპირიკოტ ს შუამდგომლობას, რომელიც ითხოვს პრივილეგიას სამრეწველო წარმოებაზე. ის სამრეწველო, რომელსაც სახელად „გამარჯვება“ ეწოდება, გაკეთებულია ისე, რომ საშრომბი ქალაქის ... არის ვახმარი. და სხვა.

**ხურამის ქალაქის თავად**

დ. სულიაშვილი (დ. ლიხელი) მიიწვიეს.

**ქალაქის საბჭოში**

ქალაქის საბჭოს სამხედრო განყოფილებამ მსმართა სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით აცნობოს ჩას სია საშუალო სასწავლებელში მყოფ 1899 წელში დაბადებულ მოწაფეებისა, რომელთაც 1919 წელში ეხებოდა სამხედრო ბეგარა, მაგრამ სწავლის დასასრულებლად ერთი წლის თავისუფლება მიიღეს. ასეთი მოწაფეები უნდა გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში მიმდინარე წლის ნოემბრის 15.

**კონფლიქტი გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრატორის შორის.**

შრომის სამინისტრომ განიხილა რა გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციის შორის მომხდარი კონფლიქტი შემდეგ სამინისტრომ მიიღო. 1) შტატის შემოკლების გამო მოსამსახურეები დაითხოვა ქალაქის საბჭომ, ამიტომ მუშებმა სალიკვიდაციო ფული მასვე უნდა მოსთხოვონ, 2) საბჭომ უნდა მისცეს მუშებს ჯილდო თავისი თანხიდან, თუ ეს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, თუ არ არის გათვალისწინებული მაშინ ჯილდოის იხდის მესაკუთრე: შრომის სამინისტროს ხთხოვს საბჭოს კაუსწორდეს მუშებს. თვით კონფლიქტი განსახილველად გადაეცა მთავრობას რომელმაც თავის მხრივ იგი დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს გადასცა.

---

ბეჭედს დაჰკარგია და დღეს ის აღარ არის, რაც იყო. ლუკრეციუსი კარა ვეელაპარაკება თავის პოემის მეორე ნაწილში ატომთა მოძრაობაზე და თვისებებზე: ატომები არიან განუწყვეტელი მოძრაობებში; ატომთა მოძრაობა არის შეუჩერებელი დაღმართევა დაუსრულებელ უსაზღვროებაში, დაღმართევითი მოძრაობა ანუ პარვანდელი პარალელურია და სწორი, მხოლოდ შემდეგ სხვადასხვა ატომთა სხვა და სხვა ტარემცველობის გამო, მოძრაობათო პარალელური იშლებიან და იწყება არევ-დარევითი დი განგაში. რით იხსნება რომ ატომთა განგაშსა და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ და საგნებს, რომელთა შემადგენლობა (ატომები) მოძრაობაში, აქვთ წყნარი სახეები?—ამის პასუხად ლუკრეციუსი კარა იძლევა სურათს: წარმოვიდგინოთ, ამბობს იგი,—შორს ჩვენგან თამაშობს ჯოგი, ცხვრები დახტიან ხან იქით, ხან აქით, მაგრამ მათი თამაშსა და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ, რადგან შორს ვართ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მაღლობს, რომელიც ჯოგის ფერად მოსჩანს.

ატომები არიან სხვა და სხვა) ფორმის. ზოგი გრკვალია. ზოგი წვეტიანი, ზოგი წყლუტი. დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში ატომიზმს საპატიო ადგილი უკავია: არა მარტო მატერიალისტებს თვით დეკარტსაც ჯეროდა ატომის არსებობა. დეკარტი ჰფიქრობდა, რომ ატომს აქვს განფენილობა და ატომთა შორის ხედავდა მხოლოდ გარემცველობითი განსხვავებას. დეკარტის სიტყვით ატომი უზუსია. მას არა აქვს არც წონა, არც მასსა; წონას ატომი ღებულობს მხოლოდ მოძრაობაში. ნიუტონს არა მარტო ატომთა არსებობა ჯეროდა, არამედ ატომთა შორის ეძებდა მსოფლიო მიმზიდველობას კანონის ძიზეზს. ავო გადრო ატომებს ეძახის ელემენტარულ მოლეკულობას (molecules élémentaire) Journal იგი შეეცადა დაემტკიცებია ატომების არსებობა de Prysique-ში: Essai d'une maniere de délerminer les masses relatives des mole'cules élémentaires des corps et des proportlens se len lesquelles elles entrent dans les combinaicons.

ინგლისელმა ფიზიკოსმა Prout-მა 1815 წ. და სამი წლის შემდეგ—1818 წ. გერმანელმა მეცნიერმა Meinecke-მ წარმოადგინეს თავისებურად დასაბუთებული ჰიპოტეზა მატერიისა და ატომების თვითმყოფ რაობაზე. პროუტმა და მეინეკემ ერთგვარად გაღრმავეს თალესის მილეთელის კოსმოლოგია: აიღეს წყალბადი მატერიის თვითმყოფ რაობად. პირველყოფილი „ქაოსი“ მათი აზრით სავსე იყო მხოლოდ წყალბადის ატომებით: წყალბადის ატომთა მილიარდები ინძრეოდენ და ირყეოდენ დაუსრულებლად. უთვალავ წელთა განმავლობაში გრძელდებოდა ბანქვა და განწვალება, რაც უფრო კვდებოდა წყალბადეული მასა, მით უფრო იხეთქებოდა და ნაწილდებოდა,

ნაწილები უერთდებოდენ ერთმანეთს არევ-დარევით და უთავბოლოთ: თანდათან რთულდებოდა ქიმიური შემადგენლობა პირველყოფილი მატერიისა.

მინერალი მარტივი თავის შედგენილობაში რთული ნივთიერება უერთდებოდა რთულს რთულს და ბუნებრივი რეაქტივებით იქმნებოდა მოძრავული, ორგანიული ნივთიერება. ორგანიულ ნივთიერებაში ეწყობოდა თავისთავად, ბუნებრივად ორგანიზაცია—ნერვიული სისტემა, რომლის ნაწილები უთვალავ ელთა განმავლობაში ერთმანეთს შეჩვეულნი ქმნიდენ ერთეულ, განუკვეთელ ხმა შეწყობილებას—იმ ხმა შეწყობილებას, რომელსაც აქვს ნარადიულად შემოქმედებითი ხასიათი, რომელიც წარმოადგენს ყოვლობის პროტოტიპს. ენერგიას, ძალას, სულს.

ყოვლობის ენერგია—უნივერსალობის სულიერ მოვლენათა მრავლობაში გამოიხატება. სულიერი მოვლენები კი ჩნდებიან ორგანიულ ნერვიულს სითხეში რომელიც ბოლოს და ბოლოს მინერალურად შესდგება—იმ მინერალებიდან, რომელნიც ბუყბუყობენ მინერალურ წყლების აუზებში, რომელთა აორთქლება ზრდის და ამჟღავნებს მცენარეულობას, რომლებით საზრდოობს ძლიერი ნებისყოფა ცხოვრებისა და ადამიანების.

სახოგადოთ ცხოველებისა და ადამიანების ნერვების გაღიზიანება იწვევს ამ მინერალების არაჩვეულებრივად აჩქარებულ მოძრაობას. მოძრაობაში მატულობს ნერვიული ენერგია: რაც უფრო ძლიერია გაღიზიანება, მით უფრო დიდია ნერვიული ენერგიის დენა, მით უფრო მდიდარია სული ადამიანისა და ყოვლობის შეგრძნობებით და ემოციებით.

სული თავის შეგრძნობებით დაემოციებით, თავის სხივოსანი იდეებით და შეცნობებით ორგანიული მოძრაობის ქიმიური სახეცვლილების შედეგია: ქიმიური ელემენტების შემოქმედებითი ატაცება იძლევა სულიერობას ისე, როგორც აჩქარებული მოძრაობა იძლევა სითბოს და ცეცხლს.

მთელი გონება—შემეცნების პროცესი მხოლოდ ჩვეულებით განყენებული სფეროა სულიერობის დაემორჩილება ორგანიულ-ნერვიულ ელემენტების სახეცვლილებას ისე როგორც კონკრეტიული სახეები ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ცხოვრებისა. ჩვენი საჭმელების ქიმიურ ელემენტებს ისეთივე გავლენა აქვს ჩვენს შემეცნებაზე, როგორც ჩვენს კუნთებზე: იდეა ისე ისახება ბიოორგანიულად როგორც შეგრძნობა, იდეას ისე ესაჭიროება თვითმჭვრეტი გასხივოსნებისათვის ჩვენი მუსკულების ქიმიური შემადგენლობა, როგორც ფიზიოლოგიურ გაღიზიანებას: როდესაც ჩვენ ჩქარად მივდივართ ან ავდივართ მთაზე თუნდაც ნელ-ნელა, ვამჩნევთ რომ, რაც უფრო და უფრო გვეჭიმება მუსკულები ფეხებისა და მკლავების, მით უფრო და უფრო გვეძნელება განყენებულად აზროვნება და ფიქრი კანტის ტრანსცენდენტალობის სფეროში. ელემენტარული სახეები შემეცნებისა ამდროს ჩვენ გვაქვს, გვაქვს წარმოდგენები, ფიზიოლოგიური შეგრძნობები, მაგრამ გვეძნელება ასოციაციებზე ფიქრი და მეტაფიზიკურად მსჯელობა. ორგანიული ენერგია არაჩვეულებრივ მოძრაობაში ზედმეტი გვეხარჯება და სულიერობის სფეროში ვერ შედის ჩვენი ნერვების ქიმიური ელემენტების შემოქმედებითი ატალღება.

მთელი ჩვენი შემეცნების პროცესი რომ ორგანიული ქიმისა ამის დასამტკიცებლად შეგვიძლიან.

**ქ. კაპანელი**

(დასასრული იქნება)

# სოფლის მეურნეობა

### მევენახეთა საბჭო

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება მევენახეთა და მეღვინეთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეთაც იქნება ან მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგი და ან სამინისტროს საბჭოს წევრი. საბჭოში შევლენ წევრებად; გარდა სხვა და სხვა განყოფილების უფროსთა სხვა უწყების წარმომადგენლობაც. საბჭოს მიზანია განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც მევინეობისა და მევენახეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. საბჭო მოკლე ხანში განიხილავს სამაზრო საბჭოების მოღვაწეობის გაერთიანების და მევინე-მევენახეობისათვის საჭირო იარაღის წოდების საკითხს.

### გადასახადი საძოვარ ადგილზე

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარადრო განყოფილებაში მეცხვარეთა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა თათბირი ზამთრისათვის საძოვარ ადგილებზე გადასახადის გადიდების შესახებ. თათბირმა საძოვარ ადგილებზე შემდეგი ნახრი დააწეს. პირველ კატეგორიის საძოვარ ადგილის დესეტინაზე 200 მანეთი; მეორე კატეგორიის 160 მ. მესამე კატეგორიის 100 მ. განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც სამაზრო ერობათა შუამდგომლობით შეიძლება ეს გადასახადი გადიდებულ იქმნას 50 პროც. თუ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან სათანადო ნებართვა იქმნა. თათბირის დადგენილებანი ცირკულიარის სახით ეწყათ ერობებს.

### ერობათა კავშირში

ერობათა კავშირის კომიტეტმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს განცხადებით რომ უცხოეთში გასატანათ დამზადებული გვაქვს მატყლი და იქიდან უნდა შემოვიტანოთ სასოფლო სამეურნეო მანქანები და სხვა სამაზრო ერობათათვის საჭირო საგნები.

### დუშეთის ერობა

დუშეთის ერობამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით 5 წლით 10 მილიონ მან. სესხის მიცემის შესახებ. დუშეთის ერობა იუწყება: მცხეთაში მოტორიან წისქვილის და ხეტყის სახერხს მანქანის მოწყობას შეუდექითო. სწორედ ამ სამუშევარის დასამთავრებლად ერობა ითხოვს ზემო აღნიშნულ თანხას.

# ეპისკოპოზი მორიონდო

ეპისკოპოზის მორიონდოს მგზავრობა საქართველოში. ახალციხიდან დაბრუნდა პაპის ლეგატი ეპისკოპოზი მარიონდო. საქარ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ეპისკოპოზ მორიონდომ განაცხადა, რომ მან დიდი სიამოვნებით იმგზავრა საქართველოში. საქართველოსთან უახლოესმა გაცნობამ დაარწმუნა იგი, რომ საქართველო პროგრესის გზაზე სდგას. უეჭველია რომ ახალგაზდა რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა, სამშობლოს სიყვარული და თავისუფლება შექმნის ნიადაგს რესპუბლიკის მომავალ განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობის დახმარებით მე შემოვიარე მთელი საქართველო. ჩემს მგზავრობას რა თქმა უნდა, არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონია. მე ვარ საქართველოს კათოლიკურ ეპარქიის ეპისკოპოზი და ჩემი მოგზაურობის მიზანი ახალციხეში იყო ქართველ კათოლიკეთა უფლებრივ მდგომარეობის აღდგენა. ქართველი კათოლიკენი, როგორც სჩანს, ჩემი ჩასვლით მოხარულნი იყვნენ და ახალციხეში ჩემი ყოფნის დროს დაადგინეს სომხის კათოლიკებისაგან გამოყოფა.

საქართველო თავისი ისტორიულ ძეგლებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ის ძეგლები მაჩვენებელნი არიან საქართველოს ძველი კულტურის და ცივილიზაციის სიდიადისა.

# ქარელიდან.

15 ოქტომბერს აქ დაარსდა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება. ეს ახალი საქმე მოაწყო ცნობილმა სახალხო ცნობილმა ალ. გარყანიშვილმა. მან აუხსნა საზოგადოებას ამ კულტურულ დაწესებულების დიდი მნიშვნელობა და წესდება სახ. უნი-ტის საზოგადოებისა. კრებამ მისივე თანადასწრებით აირჩია გამგეობა: ექიმი ო. ჟორდანია, გ. კაშორიძე (მოსამართლე) ნ. ჭელიძე (სადგურის უფროსი) არჩ. დეკანოზიშვილი უმაღლესი დაწყებითი სკოლის გამგე ანექსიძე ვანო (თემის უფროსი) და სხ. საზოგადოებაში ჩაეწერა 50-ზე მეტი წევრი. კრების შემდეგ ალ გარყანიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ქართველი ჯარი უახლოეს წარსულში“.

# ღია წერილი

### დეკანოზ იოანე ქავჯარაძეს.

მამაო იოანე! გაზეთ „ნაციონალისტის“ ფურცელზე მთხოვთ ვაუწყო პრესას პასუხი, თქვენი დავალების გამო, ჩემს მოხსენებაზედ, მოცემული თბილისის ქალაქის გამგეობის წევრის ბატ. კონიაშვილისაგან. მე ორჯერ შემხვდა მისვლა თქვენი დავალებით ბატ. კონიაშვილთან და პასუხი მისი, როგორც სიტყვიერად და წერილითაც მოგახსენეთ, იყო შემდეგი: წინაალმდეგ მამა ქავჯარაძისა, ბრძანა კონიაშვილმა, მე პირად არაფერი მაქვს სათქმელი, მხოლოდ რაც უნდა დამაკმაყოფილებელ იყოს მამა ქავჯარაძე თავისი ცოდნა გამოცდილებით ჩვენი მოთხოვნილებისა, მე მაინც ვერ მივსცემ მას გაკვეთილებს, როგორც მღვდელს და რა არის ამის მიზეზი, ის ყველამ არ უნდა იცოდეს. ვინაიდან საზოგადოდ ეს მარტო ჩვენი საქმეა. როცა შევეკითხე, შეიძლება მის ქალიშვილს მისცეთ ის ადგილი, რადგან კარგათ არის ამ ნაწილში მომზადებული, მან ამაზედაც უარი სთქვა ამ სიტყვებით: მღვდელს და მღვდლის შვილს არ ვაძლევთ გაკვეთილებსო. მეორე მესვლაზე მოვახსენე: რა აზრის ბრძანდებით და ან რა იფიქრეთ რესპუბლიკის თავმჯდომარის ამ საკითხისა გამო ახსნა-განმარტებაზე, რომელიც დეკანოზმა გადმოგცათ, თქვენ წერილობით. ამაზედ ბატ. კონიაშვილმა მიპასუხა: რას იტყვის კერძოთ ბატონი თავმჯდომარე, იმას ანგარიშს ვერ გაუწევ და თუ ოფიციალურად დამეკითხება, ან მომთხოვს პასუხს, მაშინ ჩვენ ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთო. სულ ეს იყო მოკლედ პასუხი ბატ. კონიაშვილისა.

პატივისცემით

ისიდორე შიოს ძე იოხავა

---

# გლეხთა საყურადღებოდ

## დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების), დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძ. კრების ქ. №6

---

# კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

---

# განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამთავრობო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) [illegible] თმს, [illegible] მატყლი 4.000 მან.**

**ბ) სუფთა—ახალაზ [illegible] 4.500 მან.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გადიდებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

---

# მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| ბათუმამდის | № 3 | 10. ს. 58 წ. დილ. |
| ბათუმში ჩადის | | 7 ს. 27 წ. დილ. |
| ფოთამდის | № 9 | 5. ს. 34 წ. დღით. |
| ფოთში ჩადის | | 10 ს. 45 წ. დილ. |
| ბათუმამდის ჩქარი | № 7 | 10 ს. 28 წ. საღ. |
| ბათუმში ჩადის | | 5 ს. 52. წ. საღ. |
| ბორჯომამდის | № 19 | 3. ს. 19 წ. დღ. |
| ბორჯომში ჩადის | | 11 ს. 25 წ. დღ. |
| სალ-ოღლამდის | | 7 ს. 20 წ. დილ. |
| ხანაინამდის | № 4 | 8. დილ. |
| სანაინში ჩადის | | 5 ს. საღ. |
| კახეთისკენ | | 8 ს. 50 წ. დილ. |

### თბილისში მოდის

| | | |
|---|---|---|
| ფოთიდან | № 10 | 3. ს. 51 წ. |
| თფილისში მოდის | | 9 ს. 16 წ. დღ. |
| ბათუმიდან | № 4 | 4. ს. 9 წ. დილ. |
| თფილისში მოდის | | 1 ს. 1 წ. დღ. |
| ბათუმიდან | № 8 | 11 ს. 37 წ. ღამ. |
| თფილისში მოდის | | 7 ს. 36 წ. ღამ. |
| ბორჯომიდან | № 20 | 12 ს. 22 წ. ღამ. |
| თფილისში მოდის | | 7. ს. 47 წ. დილ. |
| სალ-ოღლიდან | | 12 ს. 10 წ. დილ. |
| სანაინიდან | № 4 | 7 ს. 30 წ. დილ. |
| თბილისში მოდ. | | 3 ს. 20 წ. დღ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ. | | 8 ს. 20 წ. ს. |

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.